საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარეს ნინო გვენეტაძეს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივან ლევან მურუსიძეს

ადვოკატ თეიმურაზ მაგრაქველიძის
მის. თბილისი, ზაალბრიუკენის მოედანი 2/8
ტ. 592 66.66 50 (ტელ: 592433473)

წერილი

ალბათ გაგიკვირდებათ ამ წერილის შინაარსი, რადგან ყველა ადვოკატი, თითიქმის ყველა მოსამართლის მიმართ გამოთქვამს უკმაყოფილებას და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ წარმოაჩინოს მისი უარყოფითი თვისებები და საქმის განხილვისას დაშვებული შეცდომები.

მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ დადებით თვისებებზე მინდა მოგითხროთ, რომელიც ამ წერილში მითითებულ ადრესატს გააჩნია.

რუსთავის საქალაქო სასამართლო, მოსამართლე მადონა მაისურაძე. არის ასეთი მოსამართლე, რომელიც წარმოაჩენს იმ საუკეთესო თვისებებს, რაც პირველ რიგში ადამიანს, შემდეგში როგორც მოსამართლესა და იურისტს უნდა გააჩნდეს. იგი იურისპრუდენციის ღრმა ცოდნასთან ერთად გამოირჩევა მაღალი ერუდირებული განათლებით და წარმოაჩენს ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რაც მოსამართელს უნდა გააჩნდეს.

არ იფიქროთ, რომ მის მიერ დაცვის მხარის მიმართ გამოჩენილი ლოიალური დამოკიდებულების გამო ვწერდე აღნიშნულს. პირიქით, იგი ერთნაირად მკაცრი და მომთხოვნია როგორც ბრალდების მხარის, ასევე, დაცვის მხარის მიმართ, იმ საპროცესო მოთხვონილებათა დაცვის განხორციელებისათვის, რაც მხარეებს აქვთ მინიჭებული. ზოგიერთი მოსამართლისაგან განსხვავებით არასოდეს არ ექცევა ბრალდების მხარის ზეგავლენის ქვეშ, იოტისოდენა ეჭვსაც კი არ უტოვებს დაცვის მხარეს, მის მიმართ გამოჩენილი თითქოსდა უსამართლობის გამო.

არამარტო ჩემი აზრია, არამედ უამრავი ჩემი კოლეგის აზრია, რომ განსახილველი საქმე მოხვდეს ქალბატონ მადონა მაისურაძესთან, რადგანაც ეს იქნება საქმის განხილვის და საქმეზე სამართლიანობის და ობიექტური განაჩენის დადგენის გარანტი.

გვიმრავლოს ამგვარი მოსამართლეები.

ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით ქალბატონ მადონა მაისურაძეს ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ხანგრძლივ სამოსამართლეო მოღვაწეობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
№ 1457-m 01 ფურც.
04 07 2016

პატივისცემით: თ. მაგრაქველიძე

30.06.2016

საქართველოს უზენაესი სასამართლო
№ 9-473-16 ფურცლების რაოდენობა 03
30.06.16 ხელმოწერა 11 45